განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5-17 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ქეთევან ბერიძე

1 ჰიუნდაი გლოვის ლოჯისტიკ დიშ თიჯარეთ სანაი ვე თიჯარეთის საქართველოს ფილიალი და მისი ოპერაციები

ჰიუნდაი გლოვის ლოჯისტიკ დიშ თიჯარეთ სანაი ვე თიჯარეთის საქართველოს ფილიალი (შემდგომში ფილიალი) დაარსდა შპს ჰიუნდაი გლოვის ლოჯისტიკ დიშ თიჯარეთ სანაი ვე თიჯარეთის მიერ (შემდგომში სათაო ოფისი) 2020 წლის 29 იანვარს.

ფილიალი არ წარმოადგენს ცალკე დაფუძნებულ საწარმოს, ის წარმოადგენს უცხოური საწარმოს ქვედანაყოფს, რომელიც რეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით 404592099.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, სათაო ოფისი მთლიანად ეკუთვნოდა შპს HYUNDAI Glovis Co.-ს, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს სეულში, კორეის რესპუბლიკაში.

ძირითადი საქმიანობა. ფილიალის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა ადგილობრივი და საერთაშორისო მომხმარებლებისთვის ტვირთის გადაზიდვის უზრუნველყოფა. ამ მომსახურების გასაწევად ფილიალი ქირაობს სატრანსპორტო საექსპედიტორო კომპანიებს და მომხმარებლებს ანგარიშებს წარუდგენს ტვირთის გადაზიდვის მანძილისა და ზომის მიხედვით.

2021 წლიდან ფილიალმა გააფართოვა თავისი ბიზნეს საქმიანობა და დაიწყო გამოყენებული მანქანების იმპორტი ამერიკის შეერთებული შტატებიდან და მათი გაყიდვა საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში. ფილიალის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოსტავას ქუჩა N 37-39.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში (ლ), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 ფილიალის საოპერაციო გარემო

ფილიალის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19-ის გავრცელება გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. პანდემიის საპასუხოდ, COVID-19-ის გავრცელებისა და ზეგავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო შესაბამისი ზომები, როგორებიცაა კარანტინი, თვითიზოლაცია, სამოგზაურო და ბიზნეს საქმიანობის სხვა შეზღუდვები, მათ შორის საქმიანობის შეწყვეტა. ზოგიერთი ზემოაღნიშნული შეზღუდვა შემდგომში შემსუბუქდა, თუმცა, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არსებობს რისკი, რომ ხელისუფლებამ დააწესოს დამატებითი შეზღუდვები 2023 წელს, ვირუსის ახალი ვარიანტების გამოჩენის საპასუხოდ.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. მოსალოდნელია, რომ ომს უკრაინაში, რომელიც დაიწყო 2022 წლის თებერვალში, გლობალურ ეკონომიკაზე ყოვლისმომცველი გავლენა ექნება საქონლის მზარდი ფასების, ნავთობის/გაზის/ნახშირის პოტენციური დეფიციტის, ბიზნესის შეფერხებების და ა.შ გამო. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, ომის პირდაპირი გავლენა ფილიალის საოპერაციო შედეგებზე არ არის არსებითი.

მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციისა და ზემოაღნიშნული ზომების სამომავლო ეფექტების პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან.

თეიმურაზ ზედაძე

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (მსს ფასს-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენებას ფილიალის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. ფილიალის სამუშაო ვალუტა იმ პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაა, რომელშიც ფილიალი ოპერირებს. ფილიალის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (ლ).

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება ლარში ამ თარიღით მოქმედი სავალუტო კურსით. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. ასეთი ოპერაციების ანგარიშსწორებით და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ფილიალის სამუშაო ვალუტაში კონვერტაციით მიღებული შემოსულობა და ზარალი ეროვნული ბანკის ოფიციალური ვალუტის გაცვლის კურსით, გარდა ნასესხები სახსრებისა, აღიარდება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც სავალუტო ზარალი, ნეტო. სავალუტო შემოსულობა და ზარალი, რომელიც დაკავშირებულია ნასესხებ სახსრებთან, წარმოდგენილია მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში „ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯების“ ნაწილში.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსები იყო შემდეგი: აშშ დოლარი (\$) 1 = ლ 2,7020 (2021: \$1 = ლ 3.0976) და ევრო (€) 1 = ლ 2.8844 (2021: (€) 1 = ლ 3.504). 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის საშუალო გაცვლითი კურსი იყო (\$)1 = ლ 2,9156 (2021 წელი: (\$)1 = ლ 3,2209) და (€) 1 = ლ 3,0792 (2021 წელი: (€) 1 = ლ 3,8140). ამაჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ უმეტეს ქვეყნებში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება ფილიალის მიერ და დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტი და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

გასხვებისა და მიღებული შემოსულობა და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების საბალანსო ღირებულების შედარებით და აღიარებულია მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში „სხვა საოპერაციო ხარჯები, ნეტო“ ნაწილში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის

ქეთევან ჯუღაშვილი

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით.

საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება როდესაც შესაფერისია, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებებს.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების მუხლების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ნარჩენ ღირებულებაზე მისი ღირებულების გასანაწილებლად:

სასარგებლო მომსახურების ვადა

საოფისე აღჭურვილობა

3-5 წელი

არამატერიალური აქტივები. ფილიალის არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადები და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ სავაჭრო ნიშნებს. შეძენილი სავაჭრო ნიშნები კაპიტალიზდება მათი შეძენისა და გამოყენებისთვის გაწეული ხარჯების საფუძველზე. სავაჭრო ნიშნები აისახება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, რათა გადანაწილდეს სასაქონლო ნიშნების ღირებულება მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, 10 წლის განმავლობაში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივების, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურების საკითხი განიხილება, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებს, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც ხდება დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების (გუდვილის გარდა) ადრინდელი გაუფასურება განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შესაძლო აღდგენის მიზნით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს მოთხოვნამდე დეპოზიტების ნაშთებს ბანკებში. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. ისინი შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ანარიცხის გარეშე. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება იმის დასადგენად, არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ თანხები არ არის ანაზღაურებადი. თუ ასეა, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულება. სავაჭრო და სხვა ვალდებულება თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ანუ ფულადი სახსრების ვალდებულების დღევანდელი ღირებულებით, გარიგების ხარჯების ჩათვლით) და

ჩიოქაბ ბეჟუაშვილი

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემდგომ აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ნასესხები სახსრები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულებები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ფილიალს აქვს უპირობო უფლება, გადადოს ვალდებულების დაფარვა ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვით.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ფილიალს გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება მოვალეობის ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დღევანდელი ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო, ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა ფილიალის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომელიც უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ავტომობილების თვითღირებულება განისაზღვრება კონკრეტული ერთეულის იდენტიფიცირების საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობისას, შემცირებული დასრულებისათვის შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

საქონელი გზაში წარმოადგენს ყველა იმ საქონელს, რომელიც შემენილი და გაგზავნილია, მაგრამ ჯერ არ არის მიღებული. საქონლის რისკი და სარგებელი ფილიალს გადაეცემა ფოთის საზღვაო ნავსადგურში ავტომობილების მიტანის პერიოდიდან.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი აქტივი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ფილიალის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ფილიალში შემოდინება. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

წმინდა ნარჩენი, რომელიც მიკუთვნებულია სათაო ოფისისადმი. ფილიალი არ არის ცალკე საწარმო და, შესაბამისად, არ გამოუცია საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები. „სათაო ოფისისთვის მიკუთვნებული წმინდა ნარჩენი“ წარმოდგენილია გაუნაწილებელი მოგებით და სათაო ოფისისთვის განკუთვნილი/სათაო ოფისიდან მისაღები თანხით.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფილიალი სათაო ოფისისადმი მიკუთვნებულ წმინდა ნარჩენს აფასებს მსს ფასს-ების მიხედვით, საწარმოს წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებით.

ამონაგების აღიარება. ამონაგები აღიარდება იმდენად, რამდენადაც სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოედინება ფილიალში და ამონაგები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ნებისმიერი სავაჭრო დაბრუნების, ფასდაკლების, მოცულობითი ფასდათმობების და დღგ-ის გარეშე.

მომსახურების გაყიდვები. ტვირთის გადაზიდვის ორგანიზებიდან მიღებული ამონაგები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდში რომელშიც მომსახურება გაწეულია დროის პროპორციულობის გათვალისწინებით. შესაბამისად, მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს როგორც საანგარიშგებო პერიოდში დასრულებული გადაზიდვის მომსახურებიდან, ასევე საანგარიშგებო თარიღისათვის მიმდინარე გადაზიდვების შესრულების პროპორციულად აღიარებულ შემოსავალს.

საქონლის გაყიდვები. საქონლის გაყიდვები აღიარდება, როდესაც კონტროლი მყიდველზე გადადის, რაც წარმოადგენს მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდების თარიღს, როდესაც მომხმარებელს აქვს საქონლის განკარგვის სრული დისკრეცია, და არ არსებობს რაიმე შეუსრულებელი ვალდებულება რასაც შეუძლია ხელი შეუშალოს მომხმარებლის მიერ პროდუქციის მიღებას. მიწოდება ხდება როდესაც პროდუქცია მიტანილია გარკვეულ ლოკაციაზე, გაუფასურების და დაკარგვის რისკები გადადის მომხმარებელზე, და ან მომხმარებელმა მიიღო პროდუქცია ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღებაზე უარის თქმისათვის განკუთვნილი დებულებები ძალადაკარგულია, ან ფილიალს აქვს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მიღების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ფასდაკლებით რეალიზაციასთან დაკავშირებული შემოსავალი აღიარდება სახელშეკრულებო ფასის მიხედვით. მოთხოვნები აღიარდება როდესაც მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს, ვინაიდან აღნიშნული არის დროის მომენტი როდესაც ანაზღაურების მიღება არის უპირობო რადგან მხოლოდ დროის გასვლა არის საჭირო იმისათვის რომ ანაზღაურების მიღების პერიოდი დადგეს.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადი, 15% მთლიან თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე), გადასახდელია ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი დაბეგვრისგან გათავისუფლებულია 2017 წლის 1 იანვრიდან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე დარიცხულ ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების

ჩიოკა ბერიძე

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება 'საოპერაციო ხარჯებში მუხლში - 'გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა'.

დამატებული ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახადელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. გადასახადელი დღგ, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების მუხლების შეძენასთან გადავადდება 5-დან 10 წლამდე იმ საწარმოებისთვის, რომლებსაც აქვთ 205-ზე მეტი დღგ-სგან განთავისუფლებული ბრუნვა.

გადასახადები მოგების გადასახადის გარდა. 2015 წლის 7 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რომლის მიხედვით გადასახადის გადამხდელთა მოვალეობები, ყველა გადასახადთან მიმართებით, მათ შორის კორპორაციული მოგების გადასახადი, და ყველა გადასახადის გადამხდელის გადასახადის გადახდები აღირიცხება ერთიან საგადასახადო ანგარიშში. შედეგად, 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარმოდგენილი იქნა ნეტო საფუძველზე. შედეგად მიღებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები ანგარიშგებულია, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, ნეტო.

დასაქმებულთა სარგებლის ხარჯები. ფილიალის თანამშრომლების მიერ მომსახურების გაწევის წელს მათთვის გადახდილი ხელფასი, სარგო, საქართველოს საპენსიო ფონდში შენატანები, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები, გამოუყენებელი შვებულება და სხვა სარგებელი დაირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდა დაკავშირებული მომსახურების გაწევა. ფილიალს არ ეკისრება ხარჯები თანამშრომლებისთვის საპენსიო ან სხვა დასაქმების შემდგომი სარგებლის გაცემასთან დაკავშირებით.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ფილიალი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. საიჯარო გაუმჯობესების გარდა აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი ოპერირებს. საიჯარო

ქეთევან ზეიწყაძე

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

გაუმჯობესების სასარგებლო ვადის განსაზღვრისას ფილიალი ითვალისწინებს იჯარის ხელშეკრულების ვადას. რომელიმე ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვთის განაკვეთების კორექტირება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება. მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ფილიალის შეფასებას მომხმარებელთა კონკრეტული ანგარიშების ამოღებადობის შესახებ. თუ მსხვილი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი, ან ფაქტობრივი დეფოლტი უფრო მაღალია, ვიდრე შეფასებები, ფაქტობრივი მოთხოვნები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან. თუ ფილიალი ადგენს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ ინდივიდუალურად შეფასებულ მოთხოვნებზე ადგილი ჰქონდა გაუფასურებას, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, ის მოთხოვნას შეიყვანს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე მოთხოვნების ანგარიშთა ჯგუფში და ერთობლივად შეაფასებს მათ გაუფასურებაზე.

გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნით მოთხოვნები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ეს მახასიათებლები შესაბამისია ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისთვის, რაც მიუთითებს მოვალეთა შესაძლებლობაზე გადაიხადოს ყველა გადასახდელი თანხა შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც შეფასდა, რომ არ არის გაუფასურებული ინდივიდუალურად, გაუფასურებაზე ფასდება კოლექტიურად, ამოღებასთან დაკავშირებით ფილიალის წარსული გამოცდილების მითითებით მსგავსი ხანდაზმულობის მოთხოვნებისთვის. სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები კეთდება კონკრეტული ხანდაზმულობის კატეგორიის ანგარიშებიდან ანაზღაურების დონეების წარსული გამოცდილების საფუძველზე. გაუფასურების ანარიცხის ღირებულება მგრძნობიარეა გამოყენებული კონკრეტული პროცენტების მიმართ. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან და ფილიალის შეფასებები შეიძლება გადაიხედოს მომავალში, ნეგატიურად ან პოზიტიურად, რაც დამოკიდებულია თითოეული დაქვემდებარების ირგვლივ არსებულ ფაქტებზე დაფუძნებულ შედეგზე ან მოლოდინებზე (შენიშვნა 7).

5 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
	მშობელი საწარმო	მშობელი საწარმო
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 10)	3,702	4,221

:დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თანხები შემდეგია:

ათასი ლარი	2022		2021	
	მშობელი საწარმო	საბოლოო აქციონერი	მშობელი საწარმო	საბოლოო აქციონერი
ამონაგები	-	-	-	1,267
საპროცენტო ხარჯი	(54)	-	(40)	-

ქეთევან ზეიწყაშვილი

ჰიუნდაი გლობალური ლოჯისტიკა დიშ თიჯარეთ სანაი გე თიჯარეთის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2022 წლის 31 დეკემბერი

6 მარაგები

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
გასაყიდი ავტომობილები	161	205
საქონელი გზაში	203	-
სხვა მარაგები	8	-
სულ მარაგები 31 დეკემბერს	372	205

მარაგების ნაშთი გამოსახულია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

2022 წლის განმავლობაში ფილიალმა ჩამოწერა 77 ათასი ლარის ოდენობის მარაგი (2021: ნული) წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. თანხა შესულია რეალიზაციის თვითღირებულებაში წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გთხოვთ იხილოთ განმარტებითი შენიშვნა 12.

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	514	-
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	514	-
გადახდილი ავანსები	26	175
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	540	175

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არც ვადაგასულია და არც გაუფასურებული.

8 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	1,574	2,710
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,574	2,710

მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომლებსაც გააჩნიათ საკრედიტო რეიტინგი „B-“ Fitch Ratings-ის მიხედვით.

ქიუნდაი ჯეოჯილი

ჰიუნდაი გლობალური ლოჯისტიკა დიშ თიჯარეთ სანაი ვე თიჯარეთის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2022 წლის 31 დეკემბერი

9 ნასესხები სახსრები

ათასი ლარი	2022 წლის 31 თებერი	2021 წლის 31 თებერი
ნასესხები სახსრები დაკავშირებული მხარეებისგან (შენიშვნა 5)	3,702	4,221
სულ ნასესხები სახსრები	3,702	4,221

ნასესხები სახსრების მთლიანი თანხა მიღებულია უშუალო მშობელი კომპანიისგან და დენომინირებულია აშშ დოლარში, 1.5% წლიური საპროცენტო განაკვეთით.

ნასესხები სახსრების დაფარვის ვადა არ არის განსაზღვრული, რის შედეგადაც მთლიანი სესხი კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი.

10 სავაჭრო და სხვა ვალდებულება

ათასი ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულება	20	3
სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	20	3
დარიცხული დაქირავებულ თანამშრომელთა სარგებლის ხარჯი	18	10
მიღებული ავანსები	8	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები სულ	46	13

11 ამონაგები

ათასი ლარი	2022	2021
მომსახურების გაყიდვა	1,501	3,401
ავტომობილების გაყიდვა	767	26
სულ ამონაგები	2,268	3,427

მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ამონაგები წარმოიქმნება ადგილობრივი და საერთაშორისო მომხმარებლებისთვის ტვირთის გადაზიდვის უზრუნველყოფის სერვისით.

ჰიუნდაი გლობალური ლოჯისტიკა

ჰიუნდაი გლობალური ლოჯისტიკა დიშ თიჯარეთ სანაი გე თიჯარეთის საქართველოს ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2022 წლის 31 დეკემბერი

12 რეალიზაციის თვითღირებულება

ათასი ლარი	2022	2021
ტრანსპორტირების მომსახურების თვითღირებულება	1,409	3,277
ავტომობილების თვითღირებულება	720	27
მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერა	77	-
სულ, რეალიზაციის თვითღირებულება	2,206	3,304

13 სხვა შემოსავალი

ათასი ლარი	2022	2021
ქალაქის გაყიდვა	1,242	-
სემინარის ორგანიზების მომსახურება	10	19
სულ, სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,252	19

სემინარის ორგანიზებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს 2021 წლის 15 ივნისის ხელშეკრულების შესაბამისად, "Nobel Ilac Sanayi ve Ticaret A.S"-ისთვის, საქართველოში სასტუმროების საკონფერენციო და შეხვედრების ოთახების დაჯავშნა/დაქირავების მომსახურების ღირებულებას.

2022 წლის განმავლობაში ფილიალმა მიიღო ერთჯერადი შემოსავალი 1,242 ათასი (2021:ნული) ლარის ოდენობით, ქალაქის ჩინეთიდან და ინდოეთიდან შესყიდვისა და თურქეთში არსებულ მომხმარებელზე გაყიდვის ოპერაციით. გთხოვთ იხილოთ განმარტებითი შენიშვნა 15.

14 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ათასი ლარი	2022	2021
თანამშრომელთა ხელფასისა და სარგებლის დანახარჯები	212	554
ქირავნობის ხარჯი	104	91
პროფესიონალური ხარჯები	79	95
სხვა ხარჯები	27	28
სულ, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	422	768

15 სხვა საოპერაციო ხარჯები, ნეტო

ათასი ლარი	2022	2021
გაყიდული ქალაქის ღირებულება	1,191	-
სულ, სხვა საოპერაციო ხარჯები	1,191	-

ქოქაზ ზეიწყაშვილი

16 გათვალისწინებული მოვლენები და ვალდებულებები

სასამართლო დავები. ჩვეულებრივი საქმიანობისას დროდადრო ფილიალის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სასამართლო სარჩელი. საკუთარი შეფასებისა და შიდა თუ გარე პროფესიული კონსულტაციის საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არსებითი ზარალი არ წარმოიქმნება აღნიშნულ სარჩელებთან დაკავშირებით, რომელიც აღემატება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გათვალისწინებულ ანარიცხებს.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება საგადასახადო ორგანოების მხრიდან. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების, საურავების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება.

საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად შემდგომი სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს. ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა ფილიალის გაურკვეველ საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა, სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ მან ადეკვატურად უზრუნველყო საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციების საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, თუ ორგანოები წარმატებით განახორციელებენ საკუთარი ინტერპრეტაციების აღსრულებას.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ვითარდება და მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. ჯგუფი პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოზე ზიანის მიყენებისათვის.

17 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

ჩიუკა ჩეიუაშვი

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N231373475



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

29.09.2023 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

სალომე სალუქვაძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული,
კომერციული ფართი #4, 3ა

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

577921111

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

55406975851923



ორიათას ოცდასამი წლის ოცდაცხრა სექტემბერს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციულ ფართი #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარგმანის ქეთევან ბეუტიშვილის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი #01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - ჰიუნდაი გლოვის ლოჯისტიკ დამოწმების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ეზი) მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები 2022 წლის 31 დეკემბერი - თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარგმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე. მან დამიდგინა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე. გადახდილია საბაღური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საბაღურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდებიდან წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.4-ე მუხლის თანახმად 48.00 ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად 8.64 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 5.00 ლარი. სულ გადახდილია 61.64 ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო მოქმედების შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შესაძლებელია საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

შეგვიძლია და დავადასტურებ
ფორმალურად



საქართველოს
ფორმალური

